ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4987901

ნომერი: AR1753895

თარიღი : 16.06.2020

გაცემის თარიღი : 17.06.2020

გაცნობის თარიღი : 18.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინა გვენეტაძე პ/ნ 41001023806
- ტყიბული ს. ორპირი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია არსებულ ინვენტარის სათავსოში -3,15 ნიშნულზე მისაწვდომობის თვალსაზრისით -3,49 ნიშნულიდან შესასვლელის მოწყობის მიზნით ,სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

პასუხად გაცნობებთ რომ ლანდშაფტური მშენებლობა გულისხმობს სკვერის, ბაღის, პარკის, ბულვარის მშენებლობას ან/და მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობას,აგრეთვე ნარგავების, გაზონებისა და სხვა მცენარეული საფარის მოწყობას

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს შემთხვევაში ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოებით ხორციელდება გრუნტის მოჭრა 3,49 ნიშნულამდე, რასაც დაჭირდება გრუნტის ჩამოშლის თავიდან აცილების მიზნით ასევე საყრდენი კედლის მოწყობა, ამავე დროს გრუნტის ქვეშ მიწის ჩაღრმავებით მოხდება საძირკვლის გამონთავისუფლება , რომელზეც იგეგმება პანდუსის მოწყობა გამომდინარე აღნიშნულიდან თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოებით შენობის გარე კონტურში მატულობს განაშენიანების ფართობი და ფაქტიურად ხორციელდება მიშენება , ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე თქვენს მიერ დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ წარმოადგენს არც ლანდშაფტურ მშენებლობას და არც I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და არის შენობის ისეთი სახის ცვლილება ,რაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას..

მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინასტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.